

# შრომის ინსპექცია აჯავა სახის შრომით საქმიანობაზე გავრცელება



საქართველოს პარლამენტი პირველი მოსმენით განიხილავს ცვლილებებს საქართველოს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანულ კანონში.

საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, 2019 წლის 1 სექტემბრიდან შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველო კანონი - არა მხოლოდ საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპრობებიან სამუშაოებზე, არამედ ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე გავრცელდება.<sup>1</sup>

**კანონპროექტი, ინიციატივა** [icon]

**საკანონმდებლო ინიციატივა:** საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

**ინიციატორი:** საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფიო კილაძე, დიმიტრი ცქციტიშვილი, აკაკი ზოიძე, თამარ ხულორდავა

**ავტორი:** დიმიტრი ცქციტიშვილი, ზაქარია შველიძე

**კანონპროექტის ანალიზი** [icon]

კანონპროექტის მიზანია სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხების ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა.

საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს ქმედითი და ეფექტური აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმის სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას.

ფართოვდება შრომის ინსპექციის მანდატი და კანონპროექტის მიხედვით, მედამხედველი ორგანო უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე შეამოწმოს ინსპექციას დაქვემდებარებული ნებისმიერი სამუშაო სივრცე, დღის ან ღამის ნებისმიერ დროს, განახორციელოს სამუშაო სივრცის ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება.

კანონპროექტით:

- განისაზღვრება შრომის ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე არსებული სანარ-მოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით ოპერირების ერთიანი სტანდარტი
- დგინდება ქმედითი და ეფექტური აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საჭირო სამართლებრივი რეგულაცია
- კონკრეტდება დამსაქმებლის, დასაქმებულის, მათ შორის უსაფრთხოების დაცვაზე პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი პირის და შრომის ინსპექციის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობის ფარგლები

**მომხდელი ჩვენება და შემოთავაზებული ცვლილება** [icon]

**1. კანონის მოქმედების სფერო**

**მომხდელი ჩვენება** [icon] **შემოთავაზებული ცვლილება** [icon]

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი ვრცელდება მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპრობებიან სამუშაოებზე.

კანონი ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგის მიმართ, მათ შორის ორგანული კანონით საქართველოს შრომის კოდექსი და „საჯარო სამსახურის შესახებ“<sup>2</sup> საქართველოს კანონით მოწესრიგებული შრომითი ურთიერთობის მიმართ.

**2. ინსპექციის კონსტრუქციის სფერო**

**მომხდელი ჩვენება** [icon] **შემოთავაზებული ცვლილება** [icon]

„სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს სამენარმეო საქმიანობა (მათ შორის, შვეიდეს სანარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს სანარმოს საქმიანობა, დააბრუნოს მენარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს სანარმო, შეამოწმოს მენარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე

შრომის ინსპექცია არ საჭიროებს წინასწარ სასამართლო ნებართვას და იგი უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე შეამოწმოს ინსპექციას დაქვემდებარებული ნებისმიერი სამუშაო სივრცე, დღის ან ღამის ნებისმიერ დროს, განახორციელოს სამუშაო სივრცის ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება, რაც აუცილებელია შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტური აღსრულებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად.<sup>3</sup>

**3. კომპენსაცია მიყენებული ზიანისთვის**

**მომხდელი ჩვენება** [icon] **შემოთავაზებული ცვლილება** [icon]

დასაქმებულს აქვს უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენსაცია სამუშაო სივრცეში მიყენებული ზიანისათვის.

შემოთავაზებული ცვლილებებით დაკონკრეტებულია, რომ დასაქმებულს აქვს უფლება კომპენსაცია მიიღოს სამუშაო სივრცეში მიყენებული ზიანისათვის, მათ შორის პროფესიული დაავადების შედეგად მიყენებული ზიანისთვის.

**4. ზღაპრული ორგანოს საქმიანობისთვის ხაზის შუღლა**

**მომხდელი ჩვენება** [icon] **შემოთავაზებული ცვლილება** [icon]

მედამხედველი ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა შეიძლება გამოიწვიოს გაფრთხილება ან ფულადი ჯარიმა 2000 ლარამდე, გათვალისწინებული გაფრთხილების საფუძველზე გაცემული მითითების შეუსრულებლობისთვის.

მედამხედველი ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ფიზიკური პირისთვის გამოიწვევს ჯარიმას მაქსიმუმ 4000 ლარამდე, ხოლო დღგის გადახედვად რეგისტრირებული პირისთვის - მაქსიმუმ 14000 ლარს. ჯარიმის ოდენობა მიზნულია წინა ვალდენდარული წლის მიღებულ შემოსავალსა და დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხაზე.

**5. შრომის უსაფრთხოების საზიარისტი**

**მომხდელი ჩვენება** [icon] **შემოთავაზებული ცვლილება** [icon]

- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნის ვალდებულება დღეს ვრცელდება მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპრობებიან სამუშაოებზე.
- დამსაქმებელი ვალდებულია დანიშნოს ერთი ან ერთზე მეტი დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტად ან აღნიშნული მიზნით შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.
- დასაქმებულებთან შეთანხმებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დასაქმებულთა წარმომადგენელი შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნის ვალდებულება გავრცელდება ყველა სფეროზე
- დამსაქმებელი ვალდებულია დანიშნოს ერთი ან ერთზე მეტი დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტად ან აღნიშნული მიზნით შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.
- დასაქმებულებთან შეთანხმებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დასაქმებულთა წარმომადგენელი შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.

**შეჯასება/ჩაკომენტირება** [icon]

პირველ რიგში, მივესალმებით კანონდებლის ნებას ორგანული კანონით დარეგულირდეს შრომის უსაფრთხოების საკითხები. მნიშვნელოვანია არსებობდეს ეფექტური შრომის ინსპექცია, რომელიც შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის პირობებში, შეძლებს არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე კონტროლის სრულფასოვნად განხორციელებას, რისი მიღწევაც მხოლოდ კანონის ამოქმედებამდე მისი ზეგავლენის შეფასების და რისკების სწორი გათვლის შედეგად არის შესაძლებელი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პოზიციით, კანონის ეფექტური აღსრულებისათვის მიზანშეწონილია:

• **პარლამენტმა განახორციელოს კანონპროექტზე რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA),** რათა განისაზღვროს კანონის ეფექტურობა, კანონპროექტის მიზნების ამოქმედებასთან შემოთავაზებული რეგულაციების თავსებადობა, სახელმწიფოს რესურსი კანონპროექტის ეფექტური აღსრულებისათვის, კანონის ზეგავლენა ბიზნეს სექტორსა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კანონის ამოქმედების ოპტიმალური თარიღი

• **კანონის ეფექტური აღსრულებისათვის განისაზღვროს ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგები.** კანონი პირველ ეტაპზე ამოქმედდეს შესაბამისი პრიორიტეტული დარგებისათვის, რათა სიახლის გათვალისწინებით შესაძლოდ გამოვედინოთ ხარვეზები არ გავრცელდეს ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე და კანონის ამოქმედება მძიმე ტვირთად არ დაანეგს მცირე ბიზნესს. მიეცეთ მათ გონივრული დრო საკუთარი საქმიანობის კანონთან შესაბამისობაში მოყვანისთვის

• **გაიმარტოს სოციალური პარტნიორობის როლი** და ისეთი საკითხების გადანეგვისას, როგორცაა კანონის მოქმედებისათვის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა, შრომის ინსპექტორის თანამდებლობის დაკავშირებისათვის სავალდებულო კრიტერიუმების დადგენა და ინსპექტორების შემადგენლობის დაკომპლექტება განხორციელდეს მხოლოდ სოციალური პარტნიორობის სამეხრივ კომისიასთან შეთანხმებით.

• მიზანშეწონილია კანონპროექტში **მინიმუმამდე იყოს დაყვანილი კორუფციის რისკები.** ამ მიზნით მნიშვნელოვანია შემცირდეს სანქციების ნაწილი შრომის ინსპექტორის დისკრეცია, დარღვევების პინარსი მკვეთრად განისაზღვროს და გაიმძღნოს, თითოეული დარღვევისათვის განისაზღვროს ჯარიმის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის მდგარი არ იყოს შესაბამოდ განსხვავებული.

• **შრომის უსაფრთხოების შესახებ იმ სტანდარტების დადგენა,** რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიით უნდა განისაზღვროს მთავრობის ან სამინისტროს მიერ, **შემუშავდეს საერთაშორისო საუკეთესო სტანდარტების გათვალისწინებით, გამჭვირვალად და ექსპერტთა მაქსიმალური ჩართობით.** ბუნებრივია, უმატესნი იქნებოდა ამ დეტალების კანონის დონეზე განსაზღვრა შესაბამისი ფართო კონსულტაციების ჩატარების შედეგად.

• კანონპროექტის თანახმად თითოეულ სანარმოს უნდა ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ სერტიფიცირებულ პროგრამას გაივლის. მიგვაჩნია, რომ **აუცილებელია კანონის ამოქმედებამდე განისაზღვროს თუ რა ოპტიმალური ვადა დატვირდება ყველა სანარმოს ვინა ხერტიფიცირების საყენების ვადას დადგენა და ექსპერტიზები**

• კანონპროექტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისთვის სწავლების და ინსტრუქტაჟის ჩატარება. იმისათვის რომ სწავლებამ ფორმალური ხასიათი არ მიიღოს და მძიმე და უსარგებლო ტვირთად არ დაანეგს ბიზნესს **მიზანშეწონილია სწავლება სავალდებულო იყოს მხოლოდ იმ მიმართულებებით, რომელიც უკავშირდება დასაქმებულის უშუალო შრომით საქმიანობას.**

• კანონპროექტის თანახმად უნდა დადგინდეს ვალდებულება **სამართალდამცავ ორგანოს აცნობას ევლას, მათ შორის მასხუედი ამბების შემთხვევაში შესახებ. სამართალდამცავ ორგანოსთვის შეტყობინების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა არსებობდეს, თუ უბედური შემთხვევა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს,** რათა თავიდან ავიცილოთ სამართალდამცავი ორგანოს დროითი რესურსის არარაციონალური ხარჯვა.

სამსუხაროდ, სახელმწიფოში არ არსებობს პოლიტიკური ნება ეფექტურად იქნეს გამოყენებული შრომის უსაფრთხოების დაცვის ის მექანიზმები, რომელიც უკვე განვირგნო ჩვენ კანონმდებლობაში. ცხადია, რომ დღეს არსებული რევე არსებობს უკეთესი უსაფრთხოების დარღვევის შეფასების და ეფექტური გამოძიება.<sup>5</sup> ამიტომ, დამატებითი კანონმდებლობის და ნორმების შემოღება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შრომის უსაფრთხოების დაცვის ეფექტური პრევენციული მექანიზმი, თუ წინასწარ იქნება გათვალისწინებული ის შედეგები და რისკები, რაც შეიძლება თან ახლდეს კანონის ამოქმედებას. ნათლად უნდა იყოს განვირგნო სტანდარტები და მისი კონტროლის მექანიზმები, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგად მივიღებთ დამატებით რეგულაციებს და კორუფციისთვის ხელსაყრელ გარემოს.

1 საქართველოს პარლამენტი 2018 წლის 7 მარტის პლენარულ სხდომაზე შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი მიიღო, რომელიც ვრცელდება მხოლოდ მძიმე, მავნე და საშიშპრობებიან სამუშაოებზე.

2 ეს კანონი არ ვრცელდება საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სპეცხსოზე, საქონლისა და მეცხოველეობის სამსახურზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებზე, თუ ამ კანონით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს პრევენციის-მინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დაინოშულის სახელმწიფო დანეგვისლების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს სიტუაციების მართვის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დაინოშულის სახელმწიფო დანეგვისლების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემებში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით.

3 სამუშაო სივრცის შემოწმების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

4 დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს კანონის გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა, რომლის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიით.

5 იხილეთ ჩვენი ანალიზი: <https://www.transparency.ge/ge/blog/shromis-usaprtxeobis-shesaxeb-kanonproektisa-da-arsebuli-praktikis-moxilva>

